პროფესიული უნარების ტესტი უფროსი სპეციალური მასწავლებლებისთვის

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.
ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხებიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 40 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 54.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

ინსტრუქცია

არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხებიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 1

სპეციალური მასწავლებელი წლის განმავლობაში ინდივიდუალურად მუშაობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლესთან. იგი ამჩნევს, რომ მიუხედავად ინტენსიური მცდელობისა, მოსწავლეს არ აქვს წინსვლა მოკლევადიან ინდივიდუალურ მიზნებთან მიმართებით.

აღწერილ სიტუაციაში მასწავლებელმა **თავდაპირველად:**

ა) უნდა გააანალიზოს მოსწავლისათვის დასახული მიზნები და სწავლების მეთოდები. შეიძლება, ისინი არ არის მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისი.

ბ) სხვებთან შედარებით უფრო მეტი დრო უნდა მისცეს მოსწავლეს და განაგრძოს მასთან მუშაობა. შესაძლოა, მოსწავლის დასწავლის ტემპი შენელებულია მის თანაკლასელებთან შედარებით.

გ) უნდა შეამციროს მიზნები და აქტივობები, იმუშაოს მხოლოდ ერთ ან ორ მიზანზე ერთი და იმავე აქტივობებით. რამდენიმე მიზანზე ერთდროულად მუშაობა მოსწავლისათვის დამაბნეველია.

დ) უნდა შეიმუშაოს სტრუქტურირებული მიდგომა და დისციპლინა, მოუწოდოს მოსწავლეს მეტი ძალისხმევისაკენ. შესაძლოა, მოსწავლე არ ცდილობს სწავლას და სჭირდება მოტივირება.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 2

სსსმ მოსწავლეს უჭირს სოციალური სიგნალების სწორად ინტერპრეტაცია, რის გამოც გარშემომყოფებთან კომუნიკაციის პრობლემა ექმნება.

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე მეტად** რომელი აქტივობით დაეხმარება მასწავლებელი მოსწავლეს პრობლემის დაძლევაში?

ა) მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს თამაშს: სხეულის ენისა და ხმის ტონის ცვლილების საშუალებით მოსწავლეებმა უნდა გამოხატონ სხვადასხვა ემოცია, ხოლო დანარჩენებმა უნდა ამოიცნონ ჩაფიქრებული ემოცია.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ჯგუფურ აქტივობას: მოსწავლეებს ურიგებენ სხვადასხვა სოციალური პრობლემის ამსახველ ტექსტებს. მათ უნდა განიხილონ სიტუაციები და შეაფასონ პერსონაჟის ქცევის მართებულობა.

გ) მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას: მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ იმაზე, თუ რომელ სოციალურ სიტუაციაში როგორი ემოცია ეუფლებათ, როდის ბრაზდებიან და როდის უხარიათ.

დ) მასწავლებელი აკეთებს პრეზენტაციას: ის მოსწავლეებს განუმარტავს, თუ რას გულისხმობს სოციალური სიგნალი, აძლევს საკითხის შესახებ თეორიულ ცოდნას და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 3

სსსმ მოსწავლეს ხელი უკანკალებს, რაც ხელს უშლის წერითი დავალებების შესრულებაში.

ჩამოთვლილთაგან ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ-ის) აკომოდაციის რომელი ფორმა იქნება **ყველაზე ეფექტიანი** მოცემულ სიტუაციაში?

ა) მასწავლებელმა მოსწავლეს დაავალოს მოცემული ტექსტიდან ერთი და იმავე სიტყვების ბევრჯერ გადაწერა რვეულში.

ბ) მასწავლებელმა მოსწავლეს, წერის ნაცვლად, გააფერადებინოს დავალების შესაბამისი შინაარსის მქონე ილუსტრაციები.

გ) მასწავლებელმა მოსწავლეს წინასწარ წერტილებით დაწერილი სიტყვების კონტურები შემოახაზინოს საწერი კალმით.

დ) მასწავლებელმა მოსწავლეს დავალებები, წერის ნაცვლად, მოამზადებინოს აუდიოჩანაწერების სახით.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 4

დისლექსიის მქონე მოსწავლე მათემატიკის გაკვეთილზე ვერ ახერხებს თავისივე წაკითხული ამოცანის პირობის გაგებას. მასწავლებლის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეს პირობის დამოუკიდებლად გააზრებაში.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა დაეხმარება **ყველაზე მეტად** მოსწავლეს წაკითხულის გააზრებაში?

ა) მასწავლებელი მოსწავლეს რამდენჯერმე აკითხებს ამოცანის პირობას და აძლევს დამატებით დროს მის გასააზრებლად.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეს დაფაზე უწერს ამოცანის პირობას და შემდეგ კარნახობს მათემატიკურ მოქმედებებს.

გ) მასწავლებელს სსსმ მოსწავლე გამოჰყავს დაფასთან და ამოცანას ხმამაღლა აკითხებს, დანარჩენ მოსწავლეებს კი სთხოვს უკუკავშირს.

დ) მასწავლებელი მოსწავლეს წასაკითხად აძლევს ამოცანის ისეთ ტექსტს, რომელშიც მოცემულია ვიზუალური სქემები და გამუქებულია საკვანძო სიტყვები.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 5

კლასში მეტყველების განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეა, რომელსაც არტიკულაციის პრობლემა აქვს. რამდენიმე თანაკლასელი დაცინვის მიზნით სიტყვებს მასავით გამოთქვამს, ამიტომ ის თავს არიდებს მათთან ურთიერთობას და აღარც სკოლაში წასვლა სურს.

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე მეტად** რომელი აქტივობის გამოყენებით შეძლებს მასწავლებელი მოსწავლეებს შორის ურთიერთობების დარეგულირებას?

ა) მასწავლებელი მოსწავლეებს აწერინებს მათთვის მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ისტორიებს, შემდეგ ერთმანეთის ნაშრომებს აკითხებს და სთხოვს, რომ ისაუბრონ გამოწვეულ ემოციებზე.

ბ) მასწავლებელი სადამრიგებლო საათს უთმობს ბულინგზე საუბარს და აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ თუ დამამცირებელ ქმედებებს არ მოიშლიან, მათ მშობლებს შეატყობინებს.

გ) მასწავლებელი კლასში მსჯელობს არსებულ სიტუაციაზე და მოსწავლეებს, რომლებიც თანაკლასელს დასცინოდნენ, საკუთარი ქმედებების ახსნასა და ბოდიშის მოხდას სთხოვს.

დ) მასწავლებელი ესაუბრება მეტყველების დარღვევის მქონე მოსწავლეს, სთხოვს, თანაკლასელების დაცინვა არ შეიმჩნიოს და უხსნის, რომ ამ გზით ის უკეთ შეძლებს მათთან გამკლავებას.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21

22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 6

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მასწავლებელმა გადაწყვიტა სსსმ მოსწავლის აზროვნების შეფასება, რისთვისაც მან სხვადასხვა სავარჯიშო გამოიყენა.

ჩამოთვლილთაგან რომელი სავარჯიშოს გამოყენებით **ვერ შეძლებს** მასწავლებელი მოსწავლის აზროვნების შეფასებას?

ა) „დაუკავშირე ერთმანეთს“

ბ) „დაუკავშირე ერთმანეთს“

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

გ) „დაუკავშირე ერთმანეთს“



დ) „დაუკავშირე ერთმანეთს“

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 7

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაშია მართებულად ასახული ინკლუზიური განათლების არსი?

ა) სსსმ მოსწავლეები სხვადასხვა უნარის განვითარებისათვის ხშირად სარგებლობენ სპეციალური მასწავლებლის, ინდივიდუალური ასისტენტის და/ან ფსიქოლოგის სერვისებით რესურს ოთახში.

ბ) საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის დროს, როდესაც კლასი რაიმე დავალებას ასრულებს, საგნის მასწავლებლები პარალელურად განსხვავებულ აქტივობებზე მუშაობენ სსსმ მოსწავლესთან.

გ) ზოგჯერ სსსმ მოსწავლეები სარგებლობენ დასწრების ინდივიდუალური განრიგით, მათთვის წინასწარ განსაზღვრული დროის განმავლობაში შედიან კლასში და იქ მხოლოდ მცირე დროით რჩებიან.

დ) მასწავლებლები კლასში იყენებენ თანამშრომლობით სტრატეგიებს და თანაკლასელებთან ერთად სსსმ მოსწავლეც მონაწილეობს სხვადასხვა აქტივობაში, სადაც თითოეული მათგანი შესაბამის მხარდაჭერას იღებს.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 8

სსსმ მოსწავლეს აქვს ვიზუალური დისკრიმინაციის პრობლემა.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეცდომა შეიძლება დაუშვას მოსწავლემ კითხვის დროს?

ა) მოსწავლეს შეიძლება ერთმანეთში აერიოს მსგავსი მოხაზულობის ასოები.

ბ) მოსწავლემ შეიძლება ვერ განსაზღვროს სიტყვაში ბგერათა თანმიმდევრობა.

გ) მოსწავლეს შეიძლება გაუჭირდეს წაკითხული ასოების გამთლიანება სიტყვაში.

დ) მოსწავლემ შეიძლება ვერ დაასახელოს სიტყვაში მოცემული ასოების რაოდენობა.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 9

სსსმ-ს სტატუსის მინიჭებისათვის მოსწავლეს აუცილებელია ჰქონდეს:

ა) სამედიცინო დიაგნოზი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და განაპირობებს სწავლის გამოხატულ სირთულეებს.

ბ) ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემები, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის ხარისხზე და ნეგატიურად აისახება აკადემიურ მიღწევებზე.

გ) სწავლასთან და/ან სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, რომელთა გამოც მოსწავლე სწავლის დროს საჭიროებს დამატებით მხარდაჭერას.

დ) ინტელექტუალური დარღვევა და მისი თანმხლები რომელიმე მდგომარეობა, რის გამოც მოსწავლეს ექმნება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 10

მასწავლებელმა მიზნად დაისახა, დაეხმაროს უსინათლო მოსწავლეს ისეთი ცნებების გაგებაში, როგორებიც არის „პლანეტა“, „ვარსკვლავები“, „მთვარე“.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება დაეხმარება მოსწავლეს **ყველაზე მეტად** დასახული მიზნის მიღწევაში?

ა) მასწავლებელი დეტალურად უხსნის მოსწავლეს, რომ ადამიანები პლანეტა დედამიწაზე ცხოვრობენ, კოსმოსში სხვა პლანეტებიც არის, დღისით მზე ანათებს, მთვარე კი ციური სხეულია, რომელიც ბრუნავს დედამიწის გარშემო და ღამით ანათებს.

ბ) მასწავლებელი უსინათლო მოსწავლეს სთავაზობს ბრაილის შრიფტით დაბეჭდილ ტექსტს პლანეტების, ვარსკვლავებისა და მთვარის შესახებ, სადაც მოცემულია ინფორმაცია თითოეულ მათგანზე.

გ) მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეს სხვადასხვა რესურსს და სთხოვს, რომ მან თვითონ დაამზადოს პლანეტის, ვარსკვლავებისა და მთვარის გამოსახულებები ისე, როგორც ეს მას წარმოუდგენია.

დ) მასწავლებელი მოსწავლეს გასაცნობად სთავაზობს მზის სისტემის, ვარსკვლავებისა და მთვარის რელიეფის ტაქტილურ მოდელებს და თან უსახელებს მათ. ამასთან, ასმენინებს თითოეულ ცნებასთან ასოცირებულ ხმებს, მაგალითად, პლანეტების ბრუნვის და სხვა.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 11

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობის შესრულება მოითხოვს მოსწავლისაგან მუშა მეხსიერების გამოყენებას?

ა) მოსწავლე მოსმენილი ციფრების მწკრივს იმეორებს უკუთანმიმდევრობით.

ბ) მოსწავლე იხსენებს გზას სკოლიდან სახლამდე და პირიქით, სახლიდან სკოლამდე.

გ) მოსწავლე გაკვეთილის დასაწყისში მოსმენილ ტექსტს იხსენებს გაკვეთილის ბოლოს.

დ) მოსწავლე სახლში დაბრუნების შემდეგ იხსენებს, რა დავალება მისცა მასწავლებელმა.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 12

სპეციალურმა მასწავლებელმა მიზნად დაისახა სსსმ მოსწავლესთან ფუნქციურ უნარებზე მუშაობა.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა დაეხმარება **ყველაზე მეტად** მოსწავლეს ფუნქციური უნარების განვითარებაში?

ა) სიუჟეტური ბარათების აღწერა და შემდეგ მათი გაფერადება.

ბ) ნახატზე დილის პროცედურებისათვის საჭირო ნივთების ამოცნობა.

გ) პლასტილინით ტორტის გამოძერწვა და სათამაშოებით სუფრის გაშლა.

დ) კონტურების დაცვით ხილისა და ბოსტნეულის გამოჭრა, შემდეგ დაჯგუფება.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 13

სსსმ მოსწავლეს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები აქვს. მათთან გამკლავება იწყება პირველადი მართვის გეგმის შემუშავებით.

სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის გეგმის მიზანია:

ა) სასწავლო მიზნების განსაზღვრა მოსწავლის მშობლის ჩართულობით.

ბ) მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა.

გ) მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით ისგ-ის შემუშავება.

დ) მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესაბამისად დამატებითი გაკვეთილების დანიშვნა.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 14

სსსმ მოსწავლეს უჭირს გრძელი დავალებების შესრულება, რის გამოც წყვეტს მასზე მუშაობას და გადადის ახალ დავალებაზე. ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობით/აქტივობებით დაეხმარება მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს პრობლემის დაძლევაში?

I. მასწავლებელმა მოსწავლისათვის შეადგინოს დავალების ვიზუალური გეგმა და ამ გეგმის ყოველი მიღწეული საფეხურის შემდეგ შეასვენოს.

II. მასწავლებელმა მოსწავლეს დაუსრულებელი დავალებები ხელახლა გადააწერინოს და მიაქციოს ყურადღება, რომ ბოლომდე დაასრულოს თითოეული.

III. მასწავლებელმა გამოთქვას სინანული დაუსრულებელი დავალებების გამო და სთხოვოს მოსწავლეს, გამოიჩინოს მეტი მონდომება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 15

ტიპური განვითარების მქონე მოსწავლის მშობელმა სპეციალურ მასწავლებელთან უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მისი შვილის კლასში არის რთული ქცევის მოსწავლე.

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედებით შეძლებს მასწავლებელი მშობლის ცნობიერების ამაღლებას?

ა) სპეციალური მასწავლებელი უნდა გაესაუბროს მშობელს თითოეული მოსწავლის სოციალურ-ემოციური განვითარებისათვის ინკლუზიური განათლების მნიშვნელობაზე.

ბ) სპეციალურმა მასწავლებელმა მშობელს უნდა აუხსნას, რომ კანონით ყველა მოსწავლეს აქვს სწავლის უფლება და ამ პროცესში არაფრის შეცვლა არ შეიძლება.

გ) სპეციალურმა მასწავლებელმა უნდა გამოხატოს უკმაყოფილება მშობლის არატოლერანტული პოზიციის გამო და შეახსენოს საკუთარი პასუხისმგებლობები.

დ) სპეციალურმა მასწავლებელმა მშობელს უნდა აუხსნას მოსწავლის მდგომარეობა და სთხოვოს, რომ გამოიჩინოს უფრო მეტი გულისხმიერება.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს, ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 16

A სვეტში მოცემულია მიზნები, ხოლო B სვეტში უნარები, რომლებიც წამყვან როლს თამაშობს მოცემული მიზნის მიღწევაში. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

მიზანი (A)	**უნარი (B)**
I. მოსწავლემ უნდა შეძლოს, დავალების დასრულებამდე შეინარჩუნოს ინსტრუქცია და მიჰყვეს მას.	
II. მოსწავლემ უნდა შეძლოს, დააჯგუფოს ობიექტები ისე, რომ ერთდროულად გაითვალისწინოს ორი ნიშანი.	ა) ყურადღება
III. მოსწავლემ უნდა შეძლოს, ყოფით მოვლენებთან დაკავშირებული სიუჟეტური ბარათები დაალაგოს თანმიმდევრობით.	ბ) აზროვნება

** შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 17

მოსწავლის მწვავე ქცევითი სირთულის გამო სკოლაში შექმნილი კრიზისული სიტუაციების თავიდან ასარიდებლად სხვადასხვა სტრატეგია გამოიყენება.

B სვეტში წარმოდგენილია კრიზისული სიტუაციების თავიდან არიდების სტრატეგიები, ხოლო A სვეტში მოცემულია მასწავლებლის ქმედებები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

მასწავლებლის ქმედება (A)	**სტრატეგია (B)**
I. მოსწავლეები ერთმანეთს ქაღალდის ბურთებს ესვრიან. მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას საინტერესო აქტივობაზე გადართავს და ასე აწყვეტინებს ქცევას.	ა) რთული ქცევის პრევენცია ბ) რთული ქცევის დეესკალაცია
II. მასწავლებელმა იცის, რომ ორ მოსწავლეს ერთმანეთის გვერდით ჯდომის დროს სისტემატურად მოსდის კონფლიქტი. იგი გაკვეთილის დაწყებისთანავე ერთმანეთისგან მოშორებით სვამს მათ.	
III. მასწავლებელი ამხნევებს მოსწავლეს, რომელიც სპორტის გაკვეთილზე თამაშის წაგების გამო გაღიზიანებულია და თანაკლასელებს მიმართავს ცინიკურად. გამხნევებით მოსწავლე მშვიდდება და წყვეტს პრობლემურ ქცევას.	

** შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21

22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 18

კომუნიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს როგორც აუტიზმის სპექტრის აშლილობამ, ისე ენა-მეტყველების განვითარების დარღვევებმაც.

B სვეტში მოცემულია მდგომარეობები, ხოლო A სვეტში მათთვის დამახასიათებელი სიმპტომები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

სიმპტომი (A)	მდგომარეობა (B)
I. ბავშვი არ ერთვება სხვების მიერ ინიცირებულ ურთიერთობებში და გარშემომყოფებთან მისი კომუნიკაცია არ არის რეციპროკული.	ა) აუტიზმის სპექტრის აშლილობა ბ) ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევა
II. ბავშვი სხვებთან კომუნიკაციის დროს ან/და თავისი საჭიროებების გამოხატვის დროს ხშირად იმეორებს კონტექსტთან შეუსაბამო ერთსა და იმავე ფრაზებს.	
III. ბავშვს უჭირს სხვისი ნათქვამის გაგება და ცდილობს, კომუნიკაციის არავერბალურ მიმანიშნებლებზე დაყრდნობით გაიგოს, რას ეუბნებიან მას.	

** შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

გაითვალისწინეთ: ღია დავალების პასუხში დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენებისათვის დაგაკლდებათ ერთი ქულა!

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 19

მაქსიმალური ქულა -3



„...ბიჭი ქალბატონმა ხანმა გვერდით დაიყენა და მოგვმართა:

- ყმაწვილებო, ეს აჰმეტია, დღეიდან ჩვენს კლასში ისწავლის. სანამ გაკვეთილს დავიწყებ, მინდა ჩემს ახალ ასისტენტს მიესალმოთ. ქალბატონი ჰემსი დღეიდან აჰმეტს დაეხმარება.

ქალბატონმა ხანმა მშვიდად აგვიხსნა, ახალი ბიჭი მცირე ხნით განცალკევებით უნდა იყოსო.

მთელი დღის განმავლობაში შეფარვით ვათვალიერებდი ახალმოსულ ბიჭს. შევამჩნიე, მარტო მე კი არა, მთელი კლასი ასე იქცეოდა. ჯენი ჰყვებოდა, ახალი ბიჭი მთელ დასვენებებს დირექტორის ოთახში ატარებსო. ცხადია, ძველ სკოლაში რაღაც დააშავა და ახლა მისი ეზოში ჩვენთან ერთად გამოშვება ძალიან საშიშიაო.

- ეს „განცალკევება“ რაღას ნიშნავს?- იკითხა ჯოზიმ.

მაიკლმა ივარაუდა, ალბათ ახალ ბიჭს ცალკე მოვლა სჭირდება, როგორც ავადმყოფებს საავადმყოფოშიო.“

ონჯალი რაუფის, „ბიჭი ჩვენი კლასის ბოლო მერხზე“ - მიხედვით, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2021 წ.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების მიმართ სტიგმის შემცირებასა და დაძლევას.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანობა.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21

22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 20

მაქსიმალური ქულა -3

სსსმ მოსწავლის კვალიფიციური მხარდაჭერა შესაძლებელია ისეთ გარემოში, რომელშიც პირობები მაქსიმალურად მორგებულია მის საჭიროებებს და ეს გარემო უზრუნველყოფს მოსწავლის სრულ ჩართულობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სპეციალური მასწავლებელი ზრუნავდეს უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული თვითგანვითარებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია საკუთარი საქმიანობის ანალიზი და შეფასება.

- აღწერეთ სპეციალური მასწავლებლის თვითშეფასების ერთ-ერთი მეთოდი.
- ახსენით, როგორ შეიძლება მისი გამოყენება პროფესიული თვითგანვითარებისათვის.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 21

მაქსიმალური ქულა -3

კლასში ტურეტის სინდრომის მქონე მოსწავლეა. ხშირად თანაკლასელების დაცინვის საგანი ხდება მისთვის დამახასიათებელი მოტორული და ვოკალური ტიკები, რის გამოც მოსწავლის მშობელი ძალიან ღელავს.

გაეცანით დიალოგს:

მშობელი: *მართლაც ძალიან რთულია ჩემთვის იმის წარმოდგენა, რომ ჩემი შვილის პრობლემის გამო კლასში ხშირად უხერხული სიტუაცია იქმნება. ვფიქრობ, რომ ეს ვითარება ჩემს შვილს ემოციურ დისკომფორტს უქმნის.*

მასწავლებელი: *დიახ, ძალიან კარგად ვიცი, რასაც გულისხმობთ, მესმის თქვენი, თქვენი შვილის შესახებ ვიცი ყველაფერი და რჩევებიც მაქვს მომზადებული, ბავშვებს კი აუცილებლად დაველაპარაკები.*

- იმსჯელეთ, რა შეცდომა დაუშვა მასწავლებელმა მშობელთან კომუნიკაციის დროს აქტიური მოსმენის თვალსაზრისით.
- ახსენით, რა შეიძლება გამოიწვიოს მშობელთან ასეთი ტიპის კომუნიკაციამ.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21

22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

ინსტრუქცია

არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხებიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 22

სპეციალურმა მასწავლებელმა გადაწყვიტა, შეაფასოს მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის ფუნქციური მხედველობა.

ფუნქციური მხედველობის შეფასების მიზანი არის:

ა) იმის დადგენა, თუ როგორ იყენებს მოსწავლე მხედველობას სხვადასხვა აქტივობის შესრულებისას და რა ბუნებრივი სტრატეგიები აქვს მას სირთულეების დასაძლევად.

ბ) იმის დადგენა, თუ როგორია მოსწავლის მხედველობის დაქვეითების ხარისხი და რა გავლენას ახდენს იგი მოსწავლის თვითშეფასებასა და სოციალურ ურთიერთობებზე.

გ) იმის დადგენა, თუ მხედველობის დარღვევის რომელი ტიპი აქვს მოსწავლეს და შესაბამისად, მკურნალობისათვის საუკეთესო მეთოდის შერჩევა.

დ) იმის დადგენა, თუ რამდენად არის შესაძლებელი მოსწავლის მხედველობის ფუნქციის სრულად ან ნაწილობრივ აღდგენა მისი დაქვეითების ხარისხიდან გამომდინარე.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 23

აუტიზმის მქონე მოსწავლეს უჭირს სხვისი ნათქვამის გაგება. იგი არ უპასუხებს მასწავლებლის კითხვებს და არ ასრულებს მის მიერ მიცემულ ინსტრუქციებს.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება დაეხმარება სსსმ მოსწავლეს **ყველაზე მეტად** ინსტრუქციების გაგებაში?

ა) მასწავლებელი ინსტრუქციებს გამოთქვამს მკაფიო არტიკულაციით და სთხოვს მოსწავლეს, დააკვირდეს მისი ტუჩების მოძრაობას, რათა უფრო ადვილად ამოიცნოს მასწავლებლის ნათქვამი.

ბ) მასწავლებელი ინსტრუქციებს აწყვილებს კონკრეტულ ვიზუალურ გამოსახულებებთან და თითოეული ინსტრუქციის მიცემისთანავე მოსწავლეს აჩვენებს მასთან შინაარსობრივად დაკავშირებულ ბარათს.

გ) მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეს ინსტრუქციების გამეორებას და სთხოვს, რომ თითოეული მათგანი წარმოსახვაში ასოციაციურად დაუკავშიროს რაიმე ვიზუალურ გამოსახულებას, რომ ადვილად გაიხსენოს ის.

დ) მასწავლებელი კლასისათვის მიცემულ ინსტრუქციას ინდივიდუალურად რამდენჯერმე უკითხავს სსსმ მოსწავლეს და ყოველი გამეორების შემდეგ გადაამოწმებს, გაიგო თუ არა მან ნათქვამის შინაარსი.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 24

ჩამოთვლილთაგან რომელ პრინციპს/პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს მასწავლებელი ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლისათვის სასწავლო რესურსის შერჩევის დროს?

I. რესურსი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის სხვადასხვა სენსორული არხის სტიმულირებას, თუმცა სტიმულირება არ უნდა იყოს გადაჭარბებული.
II. რესურსი არ უნდა იყოს საგნის სპეციფიკის შესაბამისი, მაგრამ აუცილებლად უნდა ერგებოდეს მოსწავლის შესაძლებლობებს.
III. რესურსი უნდა იყოს მარტივი და ადვილად გამოსაყენებელი, რათა მოსწავლეს არ გაუჩნდეს დამატებითი კითხვები მასთან დაკავშირებით.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 25

კარნახით წერის დროს მოსწავლე უშვებს შეცდომებს. მაგალითად, თუ კარნახობენ - „შაშვი“, წერს - „სასვი“ და ვერ ხვდება, რატომ მიუთითებენ, რომ სიტყვა შეცდომით დაწერა.

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე მეტად** რომელ უნართან დაკავშირებული სირთულე განაპირობებს აღწერილ პრობლემას?

ა) თვალისა და ხელის კოორდინაციის

ბ) აუდიალური დისკრიმინაციის

გ) ვიზუალური დისკრიმინაციის

დ) სმენითი ყურადღების

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 26

არსებობს მოსაზრება, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის დასადგენად აუცილებელია დიფერენციალური დიაგნოსტიკა.

მოცემული მოსაზრება:

ა) **მართებულია,** რადგან დიფერენციალური დიაგნოსტიკა სპეციალისტს შესაძლებლობას აძლევს, მცირე დროში ეფექტიანად შეაფასოს და ზუსტად დაადგინოს აუტიზმის სპექტრის მქონე პირის სიმპტომების სიმძიმის ხარისხი.

ბ) **მართებული არ არის,** რადგან დიფერენციალური დიაგნოსტიკა მხოლოდ მაშინ არის საჭირო, როდესაც ბავშვი ვერ მეტყველებს. აუტიზმის სპექტრის აშლილობის დროს კი მას შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს ენა-მეტყველების პრობლემა.

გ) **მართებულია,** რადგან აუტიზმის სპექტრისთვის დამახასიათებელი სიმპტომები შეიძლება სხვა მდგომარეობებსაც ჰქონდეს და სპეციალისტმა უნდა შეძლოს მათი გამიჯვნა აუტიზმის სპექტრისგან.

დ) **მართებული არ არის,** რადგან, როგორც წესი, აუტიზმის სპექტრის მქონე ყველა ბავშვს ერთნაირი სიმპტომები ახასიათებს როგორც ქცევის, ისე უნარების განვითარების კუთხით. შესაბამისად, დიფერენციალური დიაგნოსტიკა საჭირო არ არის.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 27

საბავშვო ბაღიდან სკოლაში მოსწავლის ტრანზიცია ბავშვის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც სწორად უნდა დაიგეგმოს. ტრანზიციას აქვს რამდენიმე ეტაპი.

ჩამოთვლილთაგან მშობლის რომელი აქტივობა ასახავს ტრანზიციის პროცესის პირველ, მოსამზადებელ ეტაპს?

ა) მშობელს სწავლის დაწყების პირველივე დღეს მიჰყავს ბავშვი და ტოვებს თანაკლასელთა გარემოში დამრიგებლის ზედამხედველობის ქვეშ.

ბ) მშობელს სწავლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ბავშვი პერიოდულად მიჰყავს სკოლაში, ათვალიერებინებს გარემოს და აცნობს დამრიგებელს.

გ) მშობელს სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში მიჰყავს ბავშვი სკოლაში და ტოვებს სპეციალურ მასწავლებელთან რესურს ოთახში სამუშაოდ.

დ) მშობელს სწავლის დაწყებიდან პირველი თვე შერჩევითად დაჰყავს ბავშვი გაკვეთილებზე და სასწავლო წლის ბოლომდე ეტაპობრივად ზრდის გაკვეთილებზე დასწრების რაოდენობას.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 28

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეს ADHD სინდრომი აქვს. მას უჭირს გაკვეთილის ბოლომდე ერთ ადგილზე გაჩერება. სპეციალურ მასწავლებელს კი მიაჩნია, რომ რთული ქცევით მოსწავლე უბრალოდ სწავლას არიდებს თავს, რადგან, როგორც მშობელი ამბობს, ბავშვი სახლში განსხვავებულად იქცევა.

მასწავლებლის ეს მოსაზრება:

ა) **მართებულია**, რადგან თუ მოსწავლეს ADHD სინდრომი აქვს, თავისუფალ სივრცეში უფრო მეტად უნდა ავლენდეს რთულ ქცევას, ვიდრე სკოლის გარემოში.

ბ) **არ არის მართებული,** რადგან ADHD სინდრომი გავლენას ახდენს ცხოვრების ყველა სფეროზე, თუმცა სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებულად ვლინდება.

გ) **მართებულია,** რადგან თუ ADHD სინდრომის მქონე მოსწავლეს სახლში შეუძლია სასურველი ქცევის გამოვლენა, სხვა სიტუაციაშიც შეძლებს ქცევის კონტროლს.

დ) **არ არის მართებული,** რადგან ეს უფრო მეტად ასაკობრივი თავისებურებით გამოწვეული ქცევაა და არა ADHD სინდრომით განპირობებული.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 29

სსსმ მოსწავლეს კარგად ესმის მათემატიკის გაკვეთილზე ახსნილი მასალა და ადვილად იმახსოვრებს, თუმცა მალევე ავიწყდება ნასწავლი.

ყველაზე მეტად რომელი აქტივობის გამოყენებით დაეხმარება მასწავლებელი მოსწავლეს ნასწავლი მასალის ხანგრძლივად დამახსოვრებაში?

ა) მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს, ერთმანეთს ახალი მასალა ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით აუხსნან.

ბ) მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა დაავალოს, რომ დაიზეპიროს მათემატიკური მოქმედებების შესრულების წესი.

გ) მასწავლებელმა დაფაზე უნდა დაწეროს მაგალითები და მოსწავლეებს სთხოვოს, გაიმეორონ სახელმძღვანელოში შესაბამისი პარაგრაფი.

დ) მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა დაუნიშნოს ინდივიდუალური გაკვეთილი და თავიდან აუხსნას მასალა.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 30

სსსმ მოსწავლეს აქვს სენსორული ინტეგრაციის დარღვევა. იგი გაკვეთილის მიმდინარეობის დროს სისტემატურად ირწევა სკამზე და იპყრობს თანაკლასელების ყურადღებას. როდესაც მოსწავლე სკამზე რწევას იწყებს, მასწავლებელი სთხოვს, გაჩერდეს და ჩაერთოს სასწავლო პროცესში.

მასწავლებლის ქმედება:

ა) **მართებულია,** რადგან კლასში ყველა მოსწავლემ უნდა დაიცვას ქცევის წესები. სსსმ მოსწავლეც უნდა დაემორჩილოს წესებს, რათა თანაკლასელებმა არ მიბაძონ მას და არ გაიმეორონ მსგავსი ქცევა.

ბ) **მართებული არ არის,** რადგან ყოველ ჯერზე პრობლემური ქცევით მასწავლებლის ყურადღების მიპყრობა სსსმ მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, რომ ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს და ჩაშალოს გაკვეთილი.

გ) **მართებულია,** რადგან პრობლემურ ქცევაზე ყურადღების გამახვილებით მოსწავლე აკვირდება თავის ქცევას, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება მას და განუვითარდება თვითრეგულაციის უნარი.

დ) **მართებული არ არის,** რადგან თუ მოსწავლეს მოძრაობა ეხმარება ყურადღების კონცენტრირებაში, მოძრაობის შეწყვეტის მოთხოვნით გამოწვეული შფოთვა ხელს შეუშლის, ჩაერთოს გაკვეთილში.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 31

სპეციალურმა მასწავლებელმა მიზნად დაისახა, რომ სსსმ მოსწავლეს დაეხმაროს სიტყვის ფონემური ანალიზისა და სინთეზის უნარის განვითარებაში.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა შეუწყობს ხელს მოსწავლეს სიტყვის ფონემური ანალიზისა და სინთეზის უნარის განვითარებაში?

ა) მასწავლებელმა მოსწავლეს დაუსახელა სიტყვა, სთხოვა ტექსტში მისი მოძებნა და მარკერით შემოხაზვა.

ბ) მასწავლებელმა მოსწავლეს დამარცვლით წაუკითხა სიტყვა და სთხოვა მისი შედგენა მოძრავი ანბანის გამოყენებით.

გ) მასწავლებელმა მოსწავლეს სთხოვა ბარათზე დაწერილი სიტყვების წაკითხვა და იმავე თანმიმდევრობით ჩამოთვლა.

დ) მასწავლებელმა მოსწავლეს წაუკითხა წინადადება და სთხოვა იმავე სიტყვების გამოყენებით ახალი წინადადების მოფიქრება.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 32

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

სსსმ მოსწავლის მშობელს მიაჩნია, რომ მისი შვილის სწავლის შედეგები გაუმჯობესდა და ითხოვს სსსმ სტატუსის მოხსნას. ჩამოთვლილთაგან რომელია სსსმ-ს სტატუსის მოხსნის მართებული პროცედურა?

ა) მშობელს შეუძლია მიმართოს რომელიმე სარეაბილიტაციო ცენტრს მოსწავლის დიაგნოზის გადასახედად. ცენტრის სპეციალისტის მიერ მოსწავლისათვის დიაგნოზის მოხსნის შემთხვევაში, მშობელმა ეს შეფასება უნდა წარადგინოს სკოლაში, რის საფუძველზეც სკოლის ადმინისტრაცია ვალდებული იქნება, მოსწავლეს მოუხსნას სსსმ-ს სტატუსი.

ბ) მშობელს შეუძლია მიმართოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდს მისი შვილისათვის სსსმ მოსწავლის სტატუსის მოხსნის მოთხოვნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდი უნდა შეიკრიბოს, განიხილოს საკითხი და, საჭიროების შემთხვევაში, მოუხსნას მოსწავლეს სსსმ-ს სტატუსი.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

გ) მშობელს შეუძლია მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილობითი მოთხოვნით, რომ მის შვილს მოეხსნას სსსმ-ს სტატუსი, რის საფუძველზეც სამინისტრო მოსწავლეთა ბაზაში ამ კონკრეტულ მოსწავლეს მოუხსნის სსსმ-ს სტატუსის ნიშნულს.

დ) მშობელს შეუძლია წერილობით მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას მისი შვილისათვის სსსმ-ს სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე კი ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი მოსწავლის შეფასების შედეგების მიხედვით დაადგენს სტატუსის მოხსნის საჭიროებას.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 33

მასწავლებელს სურს სსსმ მოსწავლის საგნობრივი ინდივიდუალური მიზნების მიღწევის მონიტორინგი.

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება/ქმედებები დაეხმარება მასწავლებელს სსსმ მოსწავლის საგნობრივი ინდივიდუალური მიზნების მიღწევის მონიტორინგის დროს?

I. მასწავლებელმა სტანდარტით დადგენილ ცნებებთან მიმართებით უნდა შეაფასოს და დეტალურად აღწეროს, თუ რა ცოდნა შეიძინა მოსწავლემ ყოველი აკადემიური სემესტრის ბოლოს.

II. მასწავლებელმა სტანდარტიზებული ტესტების გამოყენებით უნდა განსაზღვროს, თუ რა პროგრესი აქვს მოსწავლეს წლის ბოლოს ამა თუ იმ აკადემიური უნარის განვითარების კუთხით.

III. მასწავლებელმა კურიკულუმზე დაფუძნებული ტესტირებით უნდა დაადგინოს, თუ რა წინსვლა აქვს მოსწავლეს მის საგანში ესგ-ის მინიმალური ბარიერის დაძლევის თვალსაზრისით.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 34

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს გაკვეთილზე თან ახლავს ინდივიდუალური ასისტენტი, რომელსაც საგნის მასწავლებელი ხშირად საყვედურობს, რადგან ის სსსმ მოსწავლეს არ ეხმარება ზოგიერთი აქტივობის შესრულებაში.

საგნის მასწავლებლის ქმედება:

ა) **მართებულია,** რადგან ასისტენტი ვალდებულია, რომ მუდმივად იყოს სსსმ მოსწავლის გვერდით და ყველა აქტივობის შესრულებაში დაეხმაროს.

ბ) **მართებული არ არის,** რადგან ასისტენტი უნდა აძლევდეს მოსწავლეს საშუალებას, დამოუკიდებლად შეასრულოს აქტივობები, რომელთა შესრულებაც შეუძლია.

გ) **მართებულია,** რადგან, თუ მოსწავლეს სჭირდება ასისტენტი, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ ის ყველა აქტივობის შესრულებაში საჭიროებს დახმარებას.

დ) **მართებული არ არის,** რადგან, თუ ასისტენტი მოსწავლესთან ერთად ყველა აქტივობის შესრულებაში არ იქნება ჩართული, ის შეეცდება თავი აარიდოს დავალების შესრულებას.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 35

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

ბუნების გაკვეთილზე მასწავლებელმა მიზნად დაისახა მოსწავლეებისთვის ახალი თემა „საბინადრო გარემო“ უნივერსალური დიზაინის პრინციპების დაცვით გაეცნო.

მასწავლებლის მიერ გამოყენებული რომელი სასწავლო აქტივობა შეესაბამება **ყველაზე მეტად** უნივერსალური დიზაინის პრინციპებს?

ა) მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის ახალ საკითხს, მოჰყავს კონკრეტული მაგალითები სხვადასხვა ცხოველის ცხოვრების ნირისა და მათი საბინადრო გარემოს შესახებ. გაკვეთილის ბოლოს სვამს კითხვებს ახსნილ მასალასთან დაკავშირებით და აქებს მოსწავლეებს სწორი პასუხებისათვის. ბოლოს ეკითხება, როგორ მოეწონათ გაკვეთილი.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს წასაკითხად აძლევს ტექსტს, რომელიც ეხება განსახილველ საკითხს. სსსმ მოსწავლეს აძლევს გამარტივებულ ტექსტს და აქებს კარგად კითხვისთვის. კითხვის პროცესში კი განუმარტავს ცალკეულ დეტალებს. გაკვეთილის ბოლოს ის აჯამებს საკითხს და გამოყოფს მთავარ დასკვნებს.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

გ) მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს მცირე ჯგუფებად: ურიგებს მათ ცხოველების ჩამონათვალს და სთხოვს, დაწერონ თითოეული მათგანის საბინადრო გარემოს აღწერა და დაასაბუთონ, რატომ ცხოვრობენ ისინი ამ ადგილას. ჯგუფიდან ერთი მოსწავლე კითხულობს ნამუშევარს და მასწავლებელი აჯილდოებს მათგან საუკეთესოს.

დ) მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეოჩანაწერებს ცხოველებისა და მათი საბინადრო გარემოს შესახებ. სთხოვს, შექმნან საბინადრო გარემოს მოდელი, აირჩიონ რესურსი და ნამუშევრის წარდგენის ფორმა. მუშაობის დროს თითოეულს ეხმარება საჭიროებისამებრ. ბოლოს მასწავლებელი აღნიშნავს თითოეული ნამუშევრის ძლიერ მხარეს.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 36

ჩამოთვლილთაგან თანაკლასელების რომელი ქმედება/ქმედებები დაეხმარება სმენის დარღვევის მქონე სსსმ მოსწავლეს მათთან კომუნიკაციაში?

I. თანაკლასელები ხშირად უმეორებენ სსსმ მოსწავლეს იმ წინადადებებსა და ინსტრუქციებს, რომელთა შინაარსიც მან ვერ გაიგო.

II. თანაკლასელები სსსმ მოსწავლეს ესაუბრებიან მორიგეობით და აძლევენ საშუალებას, რომ მოსწავლე ხედავდეს მათ.

III. თანაკლასელები სსსმ მოსწავლესთან ურთიერთობის დროს იყენებენ მასთან შეთანხმებულ ვიზუალურ მიმანიშნებლებს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

გაითვალისწინეთ: ღია დავალების პასუხში დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენებისათვის დაგაკლდებათ ერთი ქულა!

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 37

მაქსიმალური ქულა -3

სსსმ მოსწავლისათვის დასახული მიზანი ემსახურება მის მიერ გარკვეული ცოდნის ან უნარის შეძენას, სათანადო ქცევის ან დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამისათვის აუცილებელია, მიზანი იყოს სწორად ფორმულირებული, რაც შესაძლებელია ე.წ. SMART კრიტერიუმების გათვალისწინებით.

- აღწერეთ SMART კრიტერიუმების გათვალისწინებით ფორმულირებული მიზნის ერთი მახასიათებელი.
- დაასაბუთეთ, რატომ არის აუცილებელი თქვენ მიერ აღწერილი მახასიათებლის გათვალისწინება მიზნის ფორმულირების დროს.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 38

მაქსიმალური ქულა -3

ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევის შესახებ გამოთქმული მსჯელობებიდან უმრავლესობა მითია, რაც ართულებს ამ პრობლემასთან გამკლავების სწორი სტრატეგიების შერჩევას.

ქვემოთ წარმოგიდგენთ მსჯელობებს, რომლებიც ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევის შესახებ არის გამოთქმული:

1. ბავშვის ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს ორენოვანმა გარემომ.
2. ბავშვს შეიძლება ჰქონდეს უპირატესად ექსპრესიული ენის განვითარების დარღვევა და არ ჰქონდეს სირთულე რეცეპტულ ენაში.

– წარმოდგენილთაგან შეარჩიეთ რეალობის ამსახველი მსჯელობა და აღწერეთ სტრატეგია, რომელიც მასში გადმოცემული პრობლემის დაძლევაში დაგეხმარებათ.
– დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 39

მაქსიმალური ქულა -3

წერის სწავლა-სწავლება გარკვეულ დროსა და გაწაფვას მოითხოვს. დაწყებითი კლასის მოსწავლეები, განსაკუთრებით კი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონენი, დიდ სირთულეებს აწყდებიან წერის უკეთ გაწაფვამდე. წერის დაუფლებას ესაჭიროება დასწავლის პროცესის სპეციალურად დაგეგმვა, რისთვისაც აუცილებელია, სპეციალურმა მასწავლებელმა იცოდეს, კონკრეტულად რომელი უნარების განვითარებაზე უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ დაეხმაროს სსსმ მოსწავლეს წერის უკეთ დაუფლებაში.

- აღწერეთ წერის ათვისების ერთი ეფექტიანი სტრატეგია.
- ახსენით, კონკრეტულად რომელი უნარის განვითარებას ეყრდნობა თქვენ მიერ არჩეული სტრატეგია და როგორ დაეხმარება ის მოსწავლეს წერის დაუფლებაში.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

დავალება N 40

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა -3

ხელოვნების გაკვეთილზე მოსწავლეებს მოეთხოვებათ, განიხილონ სხვადასხვა მიმდინარეობა მხატვრობაში, შეაგროვონ ინფორმაცია მხატვრების შესახებ და შეადარონ ერთმანეთს მათი ნამუშევრები. კლასს ევალება წერილობითი ნამუშევრის შექმნა, რომელშიც ისინი იმსჯელებენ მათ მიერ შერჩეული მხატვრის შემოქმედებაზე. მიუხედავად მასწავლებლის მიერ სწავლების განსხვავებული სტრატეგიების გამოყენებისა, სსსმ მოსწავლე ვერ ახერხებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მასალის დაძლევას ხელოვნებაში, ვერ ახერხებს აზრის წერილობით ჩამოყალიბებას.

მასწავლებელმა განსაზღვრა სსსმ მოსწავლის მიღწევის არსებული დონე და გადაწყვიტა მისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a

კომპონენტი	რჩება უცვლელი	იცვლება
თემა		
შესასწავლი საკითხი		
ცნება		
პრეზენტაციის ფორმა		
რესურსი		
შედეგი		

- მოცემულ ცხრილში შეარჩიეთ ორი კომპონენტი, რომლებიც უნდა შეცვალოს მასწავლებელმა მოსწავლისათვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის მიზნით.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 32a 33 34 35 35a 36 37 38 39 40 40a